საკვლევ ტერიტორია მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის, თბილისი-მანგლისის ქვეზონაში, რომელიც მნიშვნელოვნად გართულებულია ურთიერთგადამაკვეთი ტექტონიკური რღვევებით.

სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები ქ. თბილისის ტერიტორიის ფარგლებსი ტერიტორიის ფარგლებში - 0.17 მ/წმ²-ია.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით საკვლევ ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-12/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმებისა და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) - დამტკიცების შესახებ).

სამშენებლო კლიმატოლოგია

დაპროექტების ნორმების სნ. და წ. 01.05-08-„სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება III გ ქვერაიონს (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1743;25.08.2008;

კლიმატური თვალსაზრისით, ქალაქი თბილისი შედის ქვემო ქართლის მშრალი სუბტროპიკული სტეპური ჰავის ზონაში, ზომიერად ცივი ზამთრით და ცხელი ზაფხულით. საერთო კლიმატური პირობებით ჰავა ზომიერად კონტინენტალურია. ჰაერის მოძრაობის მიხედვით ნათლადაა გამოკვეთილი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულება, რომელიც შეიძლება შეიცვალოს ადგილობრივი მეზორელიეფის განვითარების გამო. ქარების სიჩქარე ქალაქის ფარგლებში მნიშვნელოვნად

ცვალებადობს. მაქსიმალური სიჩქარეები შეინიშნება მარტსა და აპრილში, ხოლო ყველაზე წყნარი თვეები ამ მხრივ ნოემბერი და დეკემბერია. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე აღწევს 5.8 მ/წმ. ძლიერ ქარიანი საშუალოდ 58 დღეა (15მ/წმ).

ქ. თბილისში საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 10-12.50-მდე. ყველაზე ცივი თვე იანვარია, საშუალო ტემპერატურით 0.3⁰C. ყინვები შეიძლება დაიწყოს ნოემბერში და გაგრძელდეს მარტამდე. აბსოლუტური მინიმუმია - 23⁰C. წლის ყველაზე თბილი თვე აგვისტოა, საშუალო ტემპერატურით 24⁰C. აბსოლუტური მაქსიმუმია 40⁰C.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი ტენიანობა 65%-მდეა.

მოსული ნალექების წლიური ჯამი საშუალოდ 560 მმ. მათი მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი იანვარში. ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ არის 89. ნალექების დღელამური მაქსიმუმი 147 მმ-ა.

თოვლის საფარი სპორადულ ხასიათს ატარებს და მცირე ხნით ხასიათდება. ის შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე და ყოველ წელს არ მოდის. თოვლის საფარის მაქსიმალურმა სიდიდემ შეიძლება 30-40 სმ-ს მიაღწიოს, ხოლო უმთავრესად 10 სმ-ს არ აჭარბებს.

კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

- საშუალო წლიური ტემპერატურა +12,4⁰C;
- ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი -23⁰C;
- ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40⁰C;
- ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა - 560 მმ;
- თოვლის საფარის წონა - 0,50 კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 14;
- ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წლიანი განმეორებადობით - 37 მ/წმ;
- გაბატონებული ქარების მიმართულება- ჩრდილო-დასავლეთის;
- ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ - $W_0=0,85$ კპა;
- გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0 სმ.

სამშენებლო უბნის კლიმატის ელემენტები დახასიათებულია ქ.თბილისის (სამშენებლო-კლიმატური რაიონების III გ ქვერაიონი) მეტეოსადგურების მონაცემებით.

2.1. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

გეოლოგიურად მიმდებარე ტერიტორია წარმოდგენილი არის მესამეული ასაკის ზედა ეოცენის არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობისაგან, რომლებიც ტიპიურ ფლიშურ ქანებს წარმოადგენენ.

არგილითები აღნიშნულ უბანზე თხელშრეობრიობით ხასიათდება. ისინი ლითოლოგიურად თიხებს წარმოადგენს, რომელმაც სახე იცვალა მაღალი ტემპერატურისა და დიდი წნევის შედეგად და მიიღო თიხაფიქლების სახე. არგილითები მუქი მოშავო ფერით ხასიათდება. მათი თიხური ფრაქცია ძირითადად კაოლინიტისგან არის წარმოდგენილი. შეიცავს მცირე რაოდენობით კვარცსა და იაროზიტს. გამოფიტვის პროცესების მიმართ მეტად არამდგრადია. გამოფიტვის სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL "BUILDING" №2(41), 2016 №2(41), 2016 НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ «СТРОИТЕЛЬСТВО» 51 შედეგად არგილითები მკვეთრად იცვლიან ფერს. მათი მუქი შავი ფერი გადადის, რკინის ჟანგეულების წარმოშობის ზეგავლენით, მოყვითალო-მოყავისფრო (ჟანგისფერი) ფერში. ისიც აღსანიშნავია, რომ არგილითები გამოფიტვისას მკვეთრად კარგავს სიმტკიცეს. არგილიტები თხელშრეობრიობით ხასიათდებიან. ქვიშაქვები მინერალური შედგენილობით ძირითადად არკოზულია. მისი ცალკეული მარცვლები შეცემენტებულია თიხური მასალით, ხასიათდება მონაცრისფრო ფერით. გამოფიტვის ქერქის ზოლში ნაპრალიანობით ხასიათდება. ხშირად ნაპრალები შევსებულია თაბაშირით. მკვლევარ ე. ჯავახიშვილის გამოკვლევებით თაბაშირი წარმოიშვა რკინის ჟანგეულების დაშლის შედეგად, რომელიც რთულ პროცესს წარმოადგენს. ქვიშაქვები არგილითებთან შედარებით გაცილებით მტკიცეა. სიმტკიცის მაჩვენებლის მიხედვით ისინი კლდოვან ქანებს მიეკუთვნება.

ძირითადი ქანები ტერიტორიაზე დაფარულია მეოთხეული საფარით, დელუვიურ-პროლუვიურ წარმოშობის ქანებით, რომელიც წარმოდგენილია თიხებითა და თიხნარებით. ტერიტორიის ამგები ქანები, თავისი თიხოვანი შედგენილობის გამო მცირედ არიან გაწყლოვანებული და წყლის გამოჩენას სპონტანური ხასიათი აქვს.

3. სპეციალური ნაწილი

3.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საკვლევ მოედანზე მოედნის გეოლოგიური ჭრილი დაძიებულ სიღრმემდე (-10,00 მ) გამოიყურება შემდეგნაირად:

ფენა – 1 – ნაყარი;

ფენა– 2 – თიხოვანი გუნტი;

ფენა – 3 – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი;

ფენა – 4 – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი;

ქვემოთ მოგვყავს აღნიშნული ფენების დახასიათება:

ფენა-1 – ნაყარი გრუნტი, წარმოდგენილი ნიადაგის, ჰუმუსის და თიხოვანი გრუნტების (თიხა-თიხნარი) ნარევით, მცენარეული ფესვების ჩანარებით. ნაყარი გრუნტი არაერთგვაროვანი და შეუკავშირებელია. ნაყარი, როგორც ფუძე-გრუნტები შენობა-ნაგებობისთვის არ გამოდგება. ფენა მოსაჭრელია და გასატანია სამშენებლო მოედნიდან და ამითომ მისი თვისებები არ დასინჯულა;

ფენის სიძლიერე 0,00-მ-დან -1,20-მ-მდე;

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა- 2 - წარმოდგენილი არის დელუვიური წარმოშობის თიხოვანი გრუნტით. მოყავისფრო ფერის, სიღრმეში წვრილი ღორღის 10%-მდე ჩანარებით.

შურფებიდან აღებულ ნიმუშებს ჩაუტარდათ ფიზიკური მახასიათებლების ლაბორატორიული გამოკვლევა. ფიზიკური მახასიათებლების რიცხვითი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ 1-ში.

№	ფიზიკური მონაცემები	განზომილება	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი	საშუალო ართმეტიკული სიდიდე
1	პლასტიკურობის რიცხვი Ip	-	8,2-9,9	8,9
2	ტენიანობა W	%	9,04-14,1	11,7
3	სიმკვრივე			
	გრგოლის p	გრძ/სმ ³	1,99-2,07	2,01
	მშრალი გრუნტის pd	გრძ/სმ ³ გრძ/სმ ³	1,81-1,87	1,83
	გრუნტის ნაწილაკები ps		2,68-2,69	2,69
4	ფორიანობა n	%	30,2-32,7	31,73
5	ფორიანობის კოეფიციენტი e	–	0,433-0,486	0,465
6	დენალობის მაჩვენებელი IL	–	-0,48-1,22	-0,67

7	ტენიანობის ხარისხი Sr	–	0,52-0,78	0.67
8	ტენიანობა დენადობის ზღვარზე W_L	ერთ.ნაწ	0,274-0,292	0,283
9	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე W_p	ერთ.ნაწ	0,189-0,210	0,196

როგორც ცხრილიდან ჩანს, თიხოვანი გრუნტი წარმოადგენს მყარი კონსისტენციის თიხნარს, რადგან $I_p = 8,9$, $I_L = -0,67$ და ნაწილობრივ წყალგაჯერებული $S_r = 0,67$;

ზემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემული საშუალო არითმეტიკული სიდიდეები შეიძლება ჩაითვალოს როგორც აღნიშნული თიხნარების საანგარიშო მნიშვნელობები.

დეფორმაციული მახასიათებლები განისაზღვრა ლაბორატორიულად. კომპრესიული გამოცდის შედეგები მოცემულია გრაფიკზე №1. კომპრესიული გამოცდები ჩატარდა „კომბინირებული სქემით“ ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის ნიმუშებზე $P=0.05$ მპა საფეხურებრივად დატვირთვებით, $P=0.4$ მპა ვერტიკალურ დატვირთვამდე, ბუნებრივ მდგომარეობაში, წყლის მიწოდებით $P=0.2$ მპა-ზე.

გრუნტის დასველების შემდეგ ჯდომადობა არ აღინიშნა. ფარდობითი ჯდომადობის სიდიდე ($\epsilon_{si}=0.003$) ჯდომადობის კრიტერიუმზე ($\epsilon_{si}=0.010$) დაბალია. ამდენად, გრუნტი ხასიათდება, როგორც „არა ჯდომადი“.

$P=2.0$ კგ/სმ² დატვირთვისას ჯდენის მოდულის საშუალო სიდიდე $LP_{საშ}=26$ მმ/მ, რაც მიღებული უნდა იქნეს საანგარიშოდ;

დეფორმაციის მოდულის საშუალო სიდიდე $P=2.0$ კგ/სმ² დატვირთვისას ტოლია $E_{საშ} \approx 53$ კგ/სმ². როგორც, ცნობილია, კომპრესიული მრუდეები ვერ იძლევიან მის რეალურ მნიშვნელობას (ძალიან დაბალია), ამიტომ, პნ 02.01-08 მუხლი 7, პ 7 დანართი 2-ის ცხრ. 2, 3-ის და დანართი 3-ის ცხრ. 1–5-ის გამოყენებით, II და III კლასის შენობა-ნაგებობებისთვის სიმტკიცის მახასიათებელთა საანგარიშო მნიშვნელობები, დასაშვებია განისაზღვროს მათი ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, დეფორმაციის მოდული განსაზღვრული იქნა ფორიანობის კოეფიციენტით, ნორმებში პ.ნ. 02.01.08 მოცემული ცხრილის მიხედვით და დეფორმაციის მოდულის საანგარიშო მნიშვნელობა შეადგენს:

$$E_0=280 \text{ კგ/სმ}^2$$

იმისათვის, რომ განგვესაზღვრა პირობითი წინაღობა, ვისარგებლეთ სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 02.01.08, დანართი 3, ცხ.№3, საიდანაც

$$R_0=2.8 \text{ კგ/სმ}^2;$$

მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მონაცემები მოცემულია ქვემოთ ცხრილი #2-ში.

№ №	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები
		(ფენა 2)
1	სიმკვრივე ρ გ/სმ ³	2,01
2	ხვედრითი შეჭტიულობა c კპა (კგძ/სმ ²)	44 (0.44)
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	25 ⁰
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ²)	28 (280)
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ²)	280 (2.8)
6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ ³	2.0
7	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.35

თიხნარების 1 ნიმუშზე განისაზღვრა გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზი. გრუნტიდან მომზადებული გამონატუტის საერთო მინერალიზაციის სიდიდე 0.18 გ/ლ ტოლია. წყალბად-იონის კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (pH=7.82). გამაჟუჟიანებელი კომპონენტებიდან შეიცავს 0.13 მგ/ლ რაოდენობით.

აგრესიულობის ხარისხთან მიმართებაში, საანალიზო ნიმუში „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტზე დამზადებული W4 და W მარკის (წყალშედწევადობის მიხედვით) ბეტონების მიმართ, ხოლო შლაკოპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი ცემენტის მიმართ არ ავლენს აგრესიულობას.

ფენის სიმძლავრე -1,20-მ-დან -4,00-მ-მდე;

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-1;**
ფენა- 3 - წარმოდგენილი არის მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P^3_2) ძლიერ გამოფიტული არგილითების გამოფიტვის სულ ზედა ქვეზონა - წვრილდისპერიული. ქანები ძლიერ გამოფიტულია – დანაწევრებულ-დაშლილია (ქანის მთლიანობა დარღვეულია და კერძი საბურღი მილიდან გამოდის დაშლილი) და განიხილება როგორც ძირითადი ქანის გამოფიტვის ქერქის ნატეხოვანი ზონა. აღნიშნული ზონიდან ნიმუშების აღება ვერ მოხერხდა მათი მსხვრევადობის გამო, ამიტომ მათი სიმტკიცის დასადგენად გამოყენებულია ლიტერატურული მასალა. (ძირითადად გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები). ვეყრდნობით რა, მათ შედეგებს, ძლიერ გამოფიტული არგილიტებისა და ქვიშაქვების პირობითი წინაღობა

$$R_0=3,0\text{კგ/სმ}^2;$$

დეფორმაციის მოდული

$$E=300\text{კგ/სმ}^2;$$

ფენის სიმძლავრე -4,0 მეტრიდან -5,50-მეტრამდე;

ფენა გაწყლიანებულია:

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – **სგე-2;**

მოედნის შემდეგი ფენა:

ფენა 4 - ზედაპირიდან 5,50-მ-ის ქვემოთ, ძირითადი ქანების მთლიანობა არ არის დარღვეული და წარმოდგენილია საშუალო შრეებრივი არგილითებით.

ძირითადი ქანების დაქანება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა, ხოლო დახრის კუთხე 15–20°.

არგილიტების სიმტკიცის განსასაზღვრავად ჩატარებულია მათი გამოცდა სიმტკიცის ზღვარზე ერთლერმა კუმშვაზე,

ფენა დასინჯულია არგილიტების სამი ნიმუშით, რომელთა გამოცდის შედეგები მოცემულია ცხრ. №3ში.

არგილიტების სიმტკიცის ზღვარი (R_კ) ერთლერმა კუმშვაზე

სიჯის №	ქანის სახეობა	ქაბურღილის №	სინჯის აღების სიღრმე, მ H	სიმტკიცე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, K _კ	სიმკვრივე, გ/სმ ³ ρ
				მშრალ მდგომარეობაში R _{კ_მ}	წყალნაჯერ მდგომარეობაში R _{კ_წ}		
1	არგილიტი	1	5,50	5,0	2,9	0,58	2,27
2	არგილიტი	2	5,60	5,4	3,2	0,59	2,28
3	არგილიტი	3	5,50	5,3	3,1	0,59	2,28
საშუალო				5,23	3,07	0,59	2,28

სინჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	ნახევრად კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი
2	ნახევრად კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი
3	ნახევრად კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი	დარბილებადი

როგორც შედეგებიდან ჩანს, დარბილების კოეფიციენტი სამივე ნიმუშზე ნაკლებია 0,75-ზე, რაც ნიშნავს, რომ ძირითადი ქანები მიეკუთნებიან დარბილებად გრუნტებს.

6	საგების კოეფიციენტი K კგ/სმ ³	80
7	ჰუასონის კოეფიციენტი, μ	0,25

გრუნტის R_კ-ს საშუალო საანგარიშო მნიშვნელობად ვღებულობთ:

R_კ-საშუალო = 30,7 კგ/სმ³;

ვინაიდან ლაბორატორიული გამოცდები სრულდება მცირე ზომის ნიმუშებზე, რაც ხშირ შემთხვევაში არ ასახავს რეალურ სურათს (ტექსტურულ-სტრუქტურულ თავისებურებები, შრეობრივობა, შრეების დახრა, შესუსტებული ფარული ზონები), ამიტომ მთლიანი მასივისთვის შეიძლება რეკომენდებული იქნეს

$$R_k = 30.0 \text{ კგმ/სმ}^3$$

– საშუალო სიმკვრივე $\rho=2.28$ გ/სმ³

ძირითადი ქანების დაქანება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა, ხოლო დახრის კუთხე 15–20°.

აღნიშნული ფენა გამოყოფილია როგორც საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - სგე-2;

ფენა გაწყლიანებულია:

ფენის სიმძლავრე -5,50-მეტრიდან კიდევ უფრო ღრმად;

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, აღვნიშვით, რომ გრუნტის წყალი გამოვლინდა სამივე ჭაბურღილში, გამოჩნდა -4,50-მ-ზე და დადგა -4,00-მ-ზე.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე

მოედნის გეოლოგიური პირობების შესახებ შეიძლება გაკეთდეს შემდეგი

დასკვნები და რეკომენდაციები

- საკვლევი ფართობზე, დღევანდელი მდგომარეობით, ბუნებრივი პირობებით, რაიმე საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) რომელიც საფრთხეს შეუქმნის მომავალი (ასაშენებელი) შენობის მდგრადობას მშენებლობისას ან ექსპლუატაციის პერიოდში, არაა მოსალოდნელი.

- საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სნდაწ 1.02.07-97-ის მე-10 დანართის თანახმად გამოკვლეული უბანი, სამი სგე-ს არსებობის და გრუნტის წყლების არსებობის გამო მიეკუთვნება II (საშუალოდ რთული) კატეგორიას.

- მოედნის გეოლოგიური ჭრილში გამოყოფილია გრუნტის შემდეგი ფენები:

ფენა – 1 ნაყარი, წარმოდგენილი ნიადაგის, ჰუმუსის და თიხოვანი გრუნტების (თიხა-თიხნარი) ნარევით, მცენარეული ფესვების ჩანართებით. ნაყარი გრუნტი არაერთგვაროვანი და შეუკავშირებელია. ნაყარი, როგორც ფუძე-გრუნტები შენობა-ნაგებობისთვის არ გამოდგება. ფენა მოსაჭრელია და გასატანია სამშენებლო მოედნიდან; ფენის სიმძლავრე 0,00-მ-დან 1,20-მ-მდე;

ფენა – 2 – სგე 1 – თიხნარი, მოყავისფრო, დელუვიური წარმოშობის, მყარი კონსისტენციის და ნაწილობრივ წყალგაჯერებული, სიღრმეში ღორღის 10%-მდე ჩანართებით;

- საანგარიშო წინაღობა $R_0=2,8$ კგძ/სმ²;
- დეფორმაციის მოდული $E=280$ კგძ/სმ²;
- არა ჯდომადი $\epsilon_{\text{ს}}=0.003$;

თიხნარების ნიმუშზე განისაზღვრა გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზი. გრუნტიდან მომზადებული გამონატუტის საერთო მინერალიზაციის სიდიდე 0.18 გ/ლ ტოლია. წყალბად-იონის კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია (pH=7.82). გამაჭუჭყიანებელი კომპონენტებიდან შეიცავს 0.13 მგ/ლ რაოდენობით.

აგრესიულობის ხარისხთან მიმართებაში, საანალიზო ნიმუში „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტზე დამზადებული W4 და W მარკის (წყალშელწევადობის მიხედვით) ბეტონების მიმართ, ხოლო შლაკოპორტლანდცემენტის და სულფატმდგრადი ცემენტის მიმართ არ ავლენს აგრესიულობას.

ფენის სიმძლავრე -1,20-მ-დან -4,00-მ-მდე;

ფენა – 3 – სგე 2 – ძლიერ გამოფიტული მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P₂) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანების, არგილითების გამოფიტვის სულ ზედა ქვეზონა - წვრილდისპერიული;

- საანგარიშო წინაღობა $R_0=3,0$ კგძ/სმ²;
- დეფორმაციის მოდული $E=300$ კგძ/სმ²;

ფენა გაწყლიანებულია;

ფენის სიმძლავრე -4,00 მეტრიდან -5,50-მეტრამდე;

ფენა – 4 – სგე 3 – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები, მესამეული ასაკის - ზედა ეოცენის (P₂) ნაკლებად გამოფიტული არგილითები;

- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმვაზე $R_x\text{-საშუალო}= 30,0$ კგძ/სმ³
- საშუალო სიმკვრივე $\rho=2.28$ გ/სმ³;

ფენა გაწყლიანებულია;

ძირითადი ქანების დაქანება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა, ხოლო დახრის კუთხე 15–20°.

- ქვემოთ #4 ცხრილში მოცემულია სამივე ს.გ.ე.-ს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობები მიღებული როგორც ლაბორატორიული გამოკვლევებით, ასევე ს.ნ. და წ. „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.01-08)–ის დანართი 2-ს და 3-ს ცხრილების მიხედვით. აგრეთვე გამოყენებულია მეთოდიკა „Методика оценки прочности и сжимеемости крупнообломочных грунтов с пылеватым и глинистым заполнителем и пылеватых и глинистых грунтов с крупнообломочными включениями“ ДальНИИС Гостроя СССР 1989 г.

№№	გრუნტის მახასიათებლები	საანგარიშო (ნორმატიული) მნიშვნელობები		
		სგე 1	სგე 2	სგე 3
1	სიმკვრივე ρ გ/სმ ³	2,01	2,01	2,28
2	ხვედრითი შეჭიდულობა c კპა (კგძ/სმ ²)	44 (0.44)	-	-
3	შინაგანი ხახუნის კუთხე φ°	25 ⁰	-	-
4	დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ ²)	28 (280)	30,0 (300)	-
5	პირობითი საანგარიშო წინაღობა R_0 კპა (კგძ/სმ ²)	280 (2,8)	300 (3,0)	-
6	სიმტკიცის ზღვარი ერთდერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში R_c კპა (კგ/სმ ²)	-	-	3000 (30.00)
7	დრეკადობის მოდული (იუნგის) E_d მპა	-	-	27770,5
8	საგების კოეფიციენტი, k კგ/სმ ³	2.5	10,0	80,0
9	პუასონის კოეფიციენტი, μ	0.42	0,27	0.25
10	ბეტონის გრუნტზე ხახუნის კოეფიციენტი, f	-	-	0.50

• **ჰიდროგეოლოგიური პირობების** მხრივ, აღვნიშვით, რომ გრუნტის წყალი გამოვლინდა სამივე ჭაბურღილში, გამოჩნდა -4,50-მ-ზე და დადგა -4,00-მ-ზე.

საერთო მინერალიზაციის სიდიდით - $M=2.99$ გ/ლ - სინჯი მომლამო წყლების ($M>1$ გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ქიმიური შედგენილობით სინჯი სულფატური კალციუმიან-ნატრიუმიანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($PH=7.20$).

აზოტოვანი გამაჭუჭყიანებელი ნაერთებიდან წყალი შეიცავს ამონიუმის იონს შემცველობით (NH_4^+ -0.41მგ/ლ), რომელიც ლოკალურ გაჭუჭყიანებაზე მიუთითებს.

განსახილველი წყლის სინჯი ბეტონის მიმართ „ძლიერ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტის W4 და W6 მიმართ.. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც “არა”, ხოლო პერიოდული დასველებით – “სუსტი”. იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც “საშუალო”.

• თბილისი და მისი შემოგარენი საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, სამშენებლო ნორმებით პ.ნ. 01.01.09 „სეისმომედეგი მშენებლობა“ მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურად აქტიურ ზონას. საკვლევ უბანსაც ვაკუთვნებთ 8 ბალიან

სეისმურად აქტიურ ზონას. იგივე ნორმებით, სეისმური თვისებებით საკვლევი გრუნტები მიეკუთვნება:

1. ნაყარი გრუნტი – III კატ.;
2. დანარჩენი გრუნტები – II კატ.;

- ქვაბულის, ორმოების და თხრილების ფერდობების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნეს სნ და წ 3.02.01-87-ის 3.11 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნების მიხედვით,

სნ და წ III-4-80-ის მე-9 თავი, ცხრილი #4

გრუნტის დასახელება	ფერდობის ციცაბო (მისი სიმაღლის შეფარდება და დასაწყისში) გათხრების სიღრმეზე, მ, მეტი აღარ		
	1,5 მეტრი	3,0 მეტრი	5,0 მეტრი
ნაყარი არაკონსოლიდირებული 1: 0.67; 1: 1; 1: 1.25	1:0,67	1:01	1:1,25
თიხნარი	1:00	1:0,25	1:0,5

ფენა - 3 და ფენა 4 - ძირითადი ქანებისთვის – 70°.

- დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამშენებლო ნორმებით IV-2-82წ. ცხრ1-1-ის საკვლევი გრუნტები მიეკუთვნება:
 - ა) ნაყარი (ფენა 1) – სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას – II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ3 (რიგ. №24ა);
 - ბ) თიხნარი (ფენა 2) – ყველა სახის დამუშავებისას III ჯგუფს (სნ და წ IV-2-82; რიგ. 33გ).
 - ბ) ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 3) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - V ჯგუფს, სიმკვრივით 2000 კგ/მ3 (რიგ. #3ა);
 - ბ) ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4) - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას - VI ჯგუფს, სიმკვრივით 2200 კგ/მ3 (რიგ. #3ბ), დამუშავების კატეგორია სნწ-2-82 -ის მიხედვით);
- ბურღვით-ნატენი ხიმინჯების მოსაწყობად გასაბურღი ჭაბურღილების, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდისა და სიძნელის, აგრეთვე მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, აიღება სნ და წ IV-2-82 ს.ნ. და წ. მე-4 კრებულის 5 და 6 ცხრილებიდან;

ინჟინერ-გეოლოგი: / *ზ.ნა ზღაიძე* /

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია“. საქართველოს ეკ. განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
2. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
- 3 . პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სესმომდეგი მშენებლობა“. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
4. დ.ჩხეიძე – საინჟინრო გეოლოგია – გამომცემლობა “განათლება”; 1979
5. ე.გამყრელიძე – სტრუქტურული გეოლოგიის მეთოდები – გამომცემლობა “განათლება”; 1979
6. ნ.ფოფორაძე – საქართველოს მინერალები და ქანები – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2012;
7. გ. ჯაფარიძე – ქ. თბილისის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახვენებლების საანგარიშო მნიშვნელობების ცხრილი

Table. Values of the Physicomechanical Characteristics of soils

მუნიციპალიტეტი მცხეთა, სოფელი თხინვალა, საკ. კოდი 72.16.35.070

№№ რიგზე / Serial No	სგე № / SGE No	გეოლოგიური ინდექსი Geological Index	პირობითი აღნიშვნები / Legend	გრუნტების დახასიათება Soil Description	მაჩვენებლები დამუშავებისათვის					გრუნტების კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით, პნ 01.01-09 Seismic category soils	გრანულომეტრიული შემადგენლობა, % / Granulometric Composition, %										პლასტიკურობა Plasticity				სიმკვრივე, გ/სმ ³ Density, g/cm ³			
					CHиП-IV--5-82		ფერდობის დროებითი კანობი/ Temporary Gradient of				თიხა / Clay	მტვერი / Dust	ქვიშა / Sand					ხრეში (ხვინჯა) Gravel	გამწვანებელი (ლოდი) Breakstone	კაჭკაჭი (ლოდი) Boulder	ტენიანობა დენდრობის ზღვარზე, W _L Moisture at Yield Point, W _L	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე Moisture at the Point of Plasticity, W _p	პლასტიკურობის რიცხვი, I _p Plasticity Number, I _p	გრუნტის ნაწილაკების, ρ _s Granule, ρ _s	ბუნებრივი მდგომარეობის გრუნტის, ρ Natural Soil, ρ	გრუნტის ჩონჩხის, ρ _h Soil Skeleton, ρ _h		
					სიმკვრივე / Density	დამუშავების ჯგუფი Processing Class	კატეგორია Category	3 მ-დე / up to 3 m	5 მ-დე / up to 5 m				<0.005	0.005-0.01	0.01-0.05	0.05-0.1	0.1-0.25										0.25-0.5	0.5-1.0
					kg/т	-	-	-	-		-	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	%	-	-	%	გ/სმ ³	გ/სმ ³	გ/სმ ³
1	2	dQIV	4	5	7	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	
1	II	dQIV		სგე-1, თიხნარი, მყარი კონსისტენციის, საშუალოდ წყალგაჯერებული	2.06	III	III	75გრ	50გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.29	0.19	0.10	2.69	2.06	1.81	
2	II	dQIV			2.07	II	II	75გრ	50გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.29	0.20	0.09	2.69	2.07	1.82	
3	I	dQIV			1.99	II	II	75გრ	50გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.27	0.19	0.08	2.68	1.99	1.83	
4	I	dQIV			2.07	II	II	75გრ	50გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.29	0.21	0.08	2.68	2.07	1.87	
				საშუალო	2.01	II	II	75გრ	50გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	0.44	0.23	0.21	2.69	2.01	1.83	
5		P ₂₃		სგე-2, ძლიერ გამოფიტული არგილიტები	2.3	V	V	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.01	-	
6	II	P ₂₃			2.29	V	V	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.01	-
7	II	P ₂₃			2.29	V	V	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.01	-
				საშუალო	2.29	V	V	70გრ	70გრ	II																	2.01	
8		P ₂₃		სგე-3, ნაკლებად გამოფიტული არგილიტები	2.3	VI	VI	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.28	-
9	III	P ₂₃			2.29	VI	VI	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.28	-
10	III	P ₂₃			2.29	VI	VI	70გრ	70გრ	II	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2.28	-
				საშუალო	2.29	VI	VI	70გრ	70გრ	II																	2.28	



ფიზიკური თვისებები Physical Characteristics						მექანიკური თვისებები Mechanical Characteristics								გაჯირჯევა Swelling			ჯდენა Subsidence			გამარილიანება Alkanization					შენიშვნა / Note	
ტენიანობა, W Moisture, W	ვარიანობა, n Void, n	ვარიანობის კოეფიციენტი, e Void Ratio, e	სრული ტენიანობა, W _{sat} Moisture Capacity, W _{sat}	ტენიანობის ხარისხი, S _r Moisture Degree, S _r	დენადობის მაჩვენებელი, I _L Yield Indices, I _L	ორგანიკის შემცველობა, I _{or} Organic content	ფილტრაციის კოეფიციენტი, K _f Filtration Ratio, K _f	საერთო დეფორმაციის მოდული Modulus of Total Deformation, E ₀	სიმტკიცე Strength				დაბლობების კოეფიციენტი, K _{sof} Softening Ratio, K _{sof}	წინააღმდეგობა, R ₀ Design Resistance of Soil, R ₀	თავისუფალი გაჯირჯევა ε _{sw} Free Swelling, ε _{sw}	გაჯირჯევის დაწნევა P _{sw} Swelling Pressure, P _{sw}	გაჯირჯევის ტენიანობა, W _{sw}	ვარდობითი ჯდენა ε _{SI}	ჯდენის საწიხის დაწნევა, ρ _{SI}	ჯდენის ტენიანობა, W _{SI} Subsidence Moisture, W _{SI}	მყარი ნაშთი Solid	თაბაშირის შემცველობა CaSO ₄ X ₂ H ₂ O Plaster Composition CaSO ₄ X ₂ H ₂ O	ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების შემცველობა Composition of Easily and Average Soluble Saline	კარბონატის შემცველობა Carbonate Composition CaCO ₃		გარემოს მუქიანობის მაჩვენებელი Acidity Index of Environment, pH
-	-	-	-	-	-	%	მ/დღ	10 ⁵ პა	გრად.	10 ⁵ პა	10 ⁵ პა	10 ⁵ პა	-	10 ⁵ პა	%	10 ⁵ პა	-	%	10 ⁵ პა	-	%	%	%	%	-	
29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55
14.1	32.7	0.486	-	0.78	-0.48	-	-	280	25	0.44	-	-	-	2.8	-	-	-	0.003	-	-	-	-	-	-	-	-
13.4	32.3	0.478	-	0.76	-0.68	-	-	280	25	0.44	-	-	-	2.8	-	-	-	0.003	-	-	-	-	-	-	-	-
9.04	31.7	0.464	-	0.52	-1.22	-	-	280	25	0.44	-	-	-	2.8	-	-	-	0.003	-	-	-	-	-	-	-	-
10.2	30.2	0.433	-	0.63	-1.32	-	-	280	25	0.44	-	-	-	2.8	-	-	-	0.003	-	-	-	-	-	-	-	-
11.70	31.73	0.465	-	0.67	-0.67	-	-	280	25	0.44	-	-	-	2.8	-	-	-	0.003	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	300	-	-	-	-	-	3.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	300	-	-	-	-	-	3.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	300	-	-	-	-	-	3.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	300	-	-	-	-	-	3.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	30.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	30.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	30.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	30.0	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-



შპს „წყალი და ბრუნტი“		ბრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები															
		ობიექტის მცხეთა, სოფ. თხინვალა															
		დასახელება საინჟინრო გეოლოგიური კვლევა															
რიბითი №	გამონამუშევრის №	აღების სიღრმე, მ	ნიმუშის სტრუქტურა	ლაბ. №	კლასტიკურობა			ბუნებრივი ტენიანობა, %	სიმკვრივე, გ/სმ ³			ფორიანობა, %	ფორიანობის კოეფიციენტი	ტენიანობის მანკონსენტი	ტენიანობის ხარისხი	ფარდობითი ჩაჯღლილობა	ბრუნტის ტიპი
					ზედა ფენი, %	ქვედა ფენი, %	კლასტიკურობის რიცხვი		ბუნებრივი	მშრალი ბრუნტის	ბრუნტის ნაწილაკების						
		$h (\vartheta)$			W_L	W_p	I_p	W	ρ	ρ_d	ρ_s	n	e	I_L	S_r	J_s	
1	ჭაბურღილი 1	3.0	მონოლ.	124	0.288	0.189	0.099	14.1	2.060	1.81	2.69	32.7	0.486	-0.48	0.78	0.003	თიხნარი მყარი
2	ჭაბურღილი 3	2.5	მონოლ.	127	0.289	0.197	0.092	13.4	2.068	1.82	2.69	32.3	0.478	-0.68	0.76	0.003	თიხნარი მყარი
3	ჭაბურღილი 1	4.0	მონოლ.	125	0.274	0.191	0.083	9.04	1.99	1.83	2.68	31.7	0.464	-1.22	0.52	0.003	თიხნარი მყარი
4	ჭაბურღილი 2	3.3	მონოლ.	126	0.292	0.210	0.082	10.2	2.07	1.87	2.68	30.2	0.433	-1.32	0.63	0.003	თიხნარი მყარი

შპს „წყალი და ბრუნტის“ დირექტორი

მ. მარღაშოვა მ. მარღაშოვა




შპს „წყალი და გრუნტი“	გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები	
--------------------------	--	--

ობიექტის მცხეთა, სოფ. თხინვალა
დასახელება საინჟინრო გეოლოგიური კვლევა

შურვი №	აღების სიღრმე $h = 3,2$ მ	ლაბ. № 124
---------	---------------------------	------------

ცლა ჩატარდა გუნებრივი სიმკვრივისა და ტენიანობის ნიმუშზე



ვერტიკალური დატვირთვა	P	მპა	0	0.05	0.1	0.15	0.2	0.2	0.25	0.3	0.35	0.4
ფორიანობის კოეფიციენტი	e	-	0.486	0.472	0.463	0.454	0.446	0.442	0.437	0.433	0.43	0.427
ჯანის მონიშნული	l_p	მმ/მ	0	9	15	23	26	29	32	34	37	40
კუმულაციის კოეფიციენტი	m_0	მპა ⁻¹	-	0.28	0.18	0.18	0.16	-	0.12	0.08	0.06	0.06
რმაციის მონიშნული (საპ)	E_0	მპა	-	3.0	4.7	4.7	5.3	-	7.1	10.6	14.1	14.1

ინჟინერ-გეოლოგი  ზ. კაკულია
შპს "წყალი და გრუნტი" დირექტორი  მარდაშოვა




შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC "Water and Soil"

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com

გრუნტიდან გამონატუტის ქიმიური ანალიზის შედეგი

გრუნტიდან მომზადებული გამონატუტის საერთო მინერალიზაციის სიდიდე 0.18 გ/ლ ტოლია. წყალბად-იონის კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($pH = 7.82$). გამაჭუჭყიანებელი კომპონენტებიდან შეიცავს 0.13 მგ/ლ რაოდენობით. აგრესიულობის ხარისხთან მიმართებაში, საანალიზო ნიმუში „სუსტ“ აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტზე დამზადებული W_4 და W_6 მარკის (წყალშეღწევადობის მიხედვით) ბეტონების მიმართ, ხოლო შლაკოპორტლანდცემენტის და სულფატ-მდგრადი ცემენტის მიმართ არ ავლენს აგრესიულობას.

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი

მ. მარდაშოვა

მ. მარდაშოვა

ანალიტიკოსი

თ. მიქავა

თ. მიქავა




შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC "Water and Soil"

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com

გრუნტის გამონატუტის ქიმიური ანალიზი


ნიმუშის აღების ადგილი		მცხეთა, თხინვალი			
გამონამუშვრის ტიპი		ჭაბურღილი 2 ნიმუშის აღების სიღრმე-4.2მ		ნიმუშის აღების თარიღი	??
იონები	აბსოლუტური შემცველობა, გ/ლ	მგ.ექვ/ლ	მგ.ექვ/ლ%	სხვა მონაცემები	
1	2	3	4	5	
კათიონები				გრუნტის აღწერილობა ვიზუალურად:	
(Na+K) ⁺	0.032	1.389	54	წყალბად-იონების კონცენტრაცია PH:	7.82
Ca ²⁺	0.017	0.850	33	მშრალი ნაშთი:	0.16 გ/ლ
Mg ²⁺	0.004	0.325	13	საერთო სიხისტე:	1.175 მგ.ექვ/ლ
ჯამი	0.053	2.56	100	კარბონატული:	0.3 მგ.ექვ/ლ
ანიონები				მუდმივი:	0.875 მგ.ექვ/ლ
				თავისუფალი CO ₂ :	არ აღმოჩნდა
Cl ⁻	0.009	0.250	10	აგრესიული CO ₂ :	არ აღმოჩნდა
SO ₄ ²⁻	0.082	1.714	67	ამონიუმი (NH ₄ ⁺):	0.13 მგ/ლ
HCO ₃ ⁻	0.037	0.600	23	ნიტრატი (NO ₃ ⁻):	არ აღმოჩნდა
ჯამი	0.128	2.56	100	ნიტრიტი (NO ₂ ⁻):	არ აღმოჩნდა
M გ/ლ	0.181	კურლოვის ფორმულა:		$M_{0.18} \frac{SO_4 67 HCO_3 23 Cl 10}{(Na + K) 54 Ca 33 Mg 13}$	
ანალიზის შემსრულებელი:		თ. მიქავა		თარიღი:	30.05.2022

შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com

ქანების აგრესიულობის ხარისხი

ცხრილი


№	გამონამუშევრის №	კლიმატური პირობები	ნიმუშის აღების სიღრმე,მ	ბეტონის მარკა წყალმუწეულობის მიხედვით	აგრესიულობის ხარისხი ბეტონებისთვის			
					სულფატები			ქლორიდები პორტლანდცემენტისათვის შლაკოპორტლანდცემენტისათვის სულფატმდგრადი ცემენტი IOCT 22266-76
					პორტლანდ ცემენტი IOCT 10178-76	პორტლანდ ცემენტი IOCT 10178-76 და შლაკოპორტლანდცემენტი	სულფატ-მდგრადი ცემენტი IOCT 22266-76	
1	ჭაბურღილი 2	ხორმალური და ტენიანი კლიმატის ზონა	4.2 მ	W4 W6 W8	სუსტი სუსტი არა	არა არა არა	არა არა არა	არა

შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC "Water and Soil"

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com

წყლის სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგი

საერთო მინერალიზაციის სიდიდით - $M = 2.99$ გ/ლ - სინჯი მომლამო წყლების ($M > 1$ გ/ლ) კატეგორიას მიეკუთვნება. ქიმიური შედგენილობით სინჯი სულფატური კალციუმთან-ნატრიუმანია. წყალბად-იონების კონცენტრაციის მაჩვენებლით რეაქცია ნეიტრალურია ($pH = 7.20$).

აზოტოვანი გამაჭუჭყიანებელი ნაერთებიდან წყალი შეიცავს ამონიუმის იონს შემცველობით ($NH_4^+ - 0.41$ მგ/ლ), რომელიც ლოკალურ გაჭუჭყიანებაზე მიუთითებს.

განსახილველი წყლის სინჯი ბეტონის მიმართ 'ძლიერ' აგრესიულობას ავლენს პორტლანდცემენტის W_4 და W_6 მიმართ.. რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე გაანალიზებული წყლის სინჯების აგრესიული ზემოქმედება მუდმივად წყალში დასველების პირობებში ფასდება როგორც "არა", ხოლო პერიოდული დასველებით - "სუსტი". იმავე გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა სამშენებლო ნორმების და წესების ინსტრუქციის მიხედვით ფასდება როგორც "საშუალო".

შპს „წყალი და გრუნტის“ დირექტორი

ქ. ძალიძგაძე

მ. მარდაშვილი

ანალიტიკოსი

თ. მიქავა

თ. მიქავა




შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com


წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი				
სინჯის აღების ადგილი		მცხეთა, თბინვალი		
წყალპუნქტის ტიპი		ჭაბურღილი 2, ნიმუშის აღების სიღრმე - 4.2მ		სინჯის აღების თარიღი
იონები	აბსოლუტური შემცველობა	მგ.ექვ/ლ	მგ.ექვ/ლ, %	სხვა მონაცემები
1	2	3	4	5
კათიონები				ფერი: გამჭვირვალე სუნი: უსუნო გემო: მომლამო ტემპერატურა (ლაბ.): 20.3°
(Na+K) ⁺	0.188	8.156	19	წყალბად-იონების კონცენტრაცია PH: 7.20
Ca ²⁺	0.655	32.750	77	მშრალი ნაშთი: 2.81 გ/ლ
Mg ²⁺	0.023	1.900	4	საერთო სიხისტე: 34.65 მგ.ექვ/ლ;
ჯამი	0.865	42.81	100	კარბონატული: 3 მგ.ექვ/ლ;
ანიონები				მუდმივი: 31.65 მგ.ექვ/ლ;
Cl ⁻	0.028	0.800	2	თავისუფალი CO ₂ : 47 მგ/ლ
SO ₄ ²⁻	1.728	36.006	84	აგრესიული CO ₂ : არ აღმოჩნდა
HCO ₃ ⁻	0.366	6.000	14	ამონიუმი (NH ₄ ⁺): 0.41 მგ/ლ
ჯამი	2.123	42.81	100	ნიტრატი (NO ₃ ⁻): არ აღმოჩნდა
M გ/ლ	2.988	კურლოვის ფორმულა		ნიტრიტი (NO ₂ ⁻): არ აღმოჩნდა
				მარილიანობა 1.48 ppt
				ელ. წინაღობა 2.96 ppt
				TDS 2.22 ppt
				$M_{2.99} \frac{SO_4 84}{Ca 77 (Na + K) 19}$
ანალიზის შემსრულებელი:	თ. მიქავა		თარიღი:	27.05.2022

შპს „წყალი და გრუნტი“

ს/კ 436046574

ტელ.: +995 77 75 48 92

E-mail: infowaterandsoil@gmail.com



LLC “Water and Soil”

I/C 436046574

Phone.: + 995 77 75 48 92;

E-mail:infowaterandsoil@gmail.com

წყლის აგრესიულობის ხარისხი ბეტონის მიმართ

რიგითი №	გამონამუშევრის №	ნიმუშის აღების სიღღმე, მ	აგრესიულობის მაჩვენებლები	წყლის აგრესიულობის ხარისხი ნაგებობებისადმი							
				განლაგებულ ქანებში $K_{\text{წყ}} > 0.1$ მ/დღ.ღ			განლაგებულ ქანებში $K_{\text{წყ}} < 0.1$ მ/დღ.ღ				
				ბეტონის მარკა წყალშეღწევადობის მიხედვით							
				W4	W6	W8	W4	W6	W8		
1	ჭაბურღილი 2	4.2მ	ბიკარბონატული სიხისტე, მგ.ექვ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა		
			წყალბად-იონის მაჩვენებელი	არა	არა	არა	სუსტი	არა	არა		
			აგრესიული ნახშირმჟავას შემცველობა, მგ/ლ	-	-	არა	-	-	არა		
			მაგნეზიალური მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა		
			ამონიუმის მარილების შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა		
			მაღალი ტუტიანობის შემცველობა, მგ/ლ	არა	არა	არა	არა	არა	არა		
			სულფატები ბეტონებისათვის								
			პორტლანდცემენტი (ГОСТ10178-76)	ძლიერი	ძლიერი	საშ.	ძლიერი	საშ.	სუსტი		
			წიდაპორტლანდცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა		
			სულფატმედეგი ცემენტი	არა	არა	არა	არა	არა	არა		

გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი მეტალის კონსტრუქციებზე

რიგითი №	გამონამუშევრის №	ნიმუშის აღების სიღღმე, მ	წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის კონსტრუქციის არმატურაზე		გარემოს აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი > 0.1 მ/დღ.ღ
			მუდმივად წყალში	პერიოდულად დასველებით	
1		4.2მ	არა	სუსტი	საშუალო

შპს „არქსტუდიო“

სამუშაოს ანგარიში

შესრულებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თხინვალაში, განთავსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ: № 72.16.35.070., ასაშენებელი სატუმბო სადგურის სამშენებლო მოედანზე, აღებული ქანის სინჯების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე.

დირექტორი:

/ზ.ნაზლაძე/



სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
აკადემიური დოქტორი

გიორგი ბალიაშვილი

A handwritten signature in blue ink, which appears to read 'გ. ბალიაშვილი'.

თბილისი 2022 წ

1. ანგარიში წარმოდგენილია 4 გვერდზე და შეიცავს 5 ცხრილს.
2. სინჯების წარმომავლობაზე ანგარიშის შემდგენელი პასუხს არ აგებს.

გამოყენებული სტანდარტი

1. ГОСТ 5180-84 გრუნტების ფიზიკური მახასიათებლების განსაზღვრის ლაბორატორიული მეთოდები;
2. ГОСТ 21153,2-84 სიმტკიცის განსაზღვრის მეთოდი ქანების ერთდერძა კუმშვაზე ;
3. ГОСТ 28985-91 ქანების დეფორმაციული მახასიათებლების კვლევა ერთდერძა კუმშვაზე;
4. ГОСТ 24941-81 ქანების მექანიკური თვისებების დადგენის მეთოდები სფერული ინდენტორებით დატვირთვის პირობებში;
5. ГОСТ 25100-82 გრუნტების კლასიფიკაცია.

ანგარიში მომზადებულია სსიპ გ.წულუკიძის სამთო ინსტიტუტის ქანების, საშენი მასალების თვისებების და ხარისხის კონტროლის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიაში ქანების-გრუნტების მექანიკის მიმართულებით 54 წლის და ბეტონების მიმართულებით 20 წლის სტაჟის მქონე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, აკადემიური დოქტორის გიორგი ბალიაშვილის მიერ.

კვლევის შედეგებზე ვიღებ სრულ პასუხისმგებლობას.

სამუშაოს ხელმძღვანელი,
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
აკადემიური დოქტორი

გიორგი ბალიაშვილი



ცხრილი 1- ქანის თვისებების საშუალო მნიშვნელობები

სიჯის №	ქანის სახეობა	ჭაბურღილის №	სიჯის აღების სიღრმე, მ H	სიმტკიცე, მეგპა		დარბილების კოეფიციენტი, Ks	სიმკვრივე, გ/სმ ³ P
				მშრალ მდგომარეობაში Rcd	წყალნაჯერ მდგომარეობაში Rew		
1	არგილითი	1	5,50	5,0	2,9	0,58	2,27
2	არგილითი	2	5,60	5,4	3,2	0,59	2,28
3	არგილითი	3	5,50	5,3	3,1	0,59	2,28

შენიშვნა 1: 1– 5 მეგპა-ზე დაბალი სიმტკიცის ქანზე, სტანდარტების *ГОСТ 28985-91* და *ГОСТ 21153,5-84* საფუძველზე დრეკადობის მოდული, შეჭიდულობა და შიგა ხახუნის კუთხე არ განისაზღვრება.

ცხრილი 2- ქანების კლასიფიკაცია ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მიხედვით

სიჯის №	სიმტკიცის მიხედვით (წყალნაჯერი)	სიმკვრივის მიხედვით	დარბილების მიხედვით
1	ნახევრად კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე ¹	მკვრივი ⁴	დარბილებადი
2	ნახევრად კლდოვანი, ნაკლებად მტკიცე	მკვრივი ⁴	დარბილებადი
3	ნახევრად კლდოვანი, დადაბლებული სიმტკიცის ³	მკვრივი ⁴	დარბილებადი

შენიშვნა 2: 1– შვიდრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმტკიცის შემცირების მიხედვით მესამე რეიტინგის, 2ოთხრეიტინგიან კლასიფიკაციაში სიმკვრივის შემცირების მიხედვით მეორე რეიტინგის.

ცხრილი 3- სიმკვრივე ნიმუშების მიხედვით

სიჯის №	გამოცდილი ნიმუშის						სიმკვრივე, გ/სმ ³
	№	მასა, გ			მოცულობა, სმ ³		
		ჰაერში	პარაფინით		პარაფინის	ნიმუშის	
1	1	40,01	45,39	24,25			3,59
	2	40,03	45,39	24,00	3,68	17,71	2,26
2	1	39,87	45,39	24,42	3,56	17,41	2,29
	2	39,85	45,39	24,29	3,54	17,56	2,27
3	1	39,68	45,39	24,14	3,69	17,56	2,26
	2	39,64	45,39	24,52	3,64	17,23	2,30

ცხრილი 4- სიმტკიცის ზღვარი ერთლერძა კუმშვაზე და დრეკადობის მოდული

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის								
	№	სიგრძე, სმ	სიგანე, სმ	სიმაღლე, სმ	ფართობი, სმ ²	მასშტაბ. კოეფიციენტი	მრღვევი ძალა, კგმ	სიმტკიცე, მეგპა	მდგომარეობა გამოცდისას
1	1	3,03	3,03	3,06	9,18	0,80	565	5,0	მშრალი
	2	3,02	3,02	3,05	9,12	0,80	325	2,9	
2	1	3,05	3,04	3,06	9,27	0,80	615	5,4	მშრალი
	2	3,04	3,03	3,05	9,21	0,80	360	3,2	წყალნაჯერი
3	1	3,03	3,02	3,08	9,15	0,80	595	5,3	მშრალი
	2	3,03	3,02	3,09	9,15	0,80	350	3,1	წყალნაჯერი

ცხრილი 5- სიმტკიცის ზღვარი ერთლერძა კუმშვაზე (დადგენილი „სფერული ინდენტორების მეთოდით“)

სინჯის №	გამოცდილი ნიმუშის							
	№	მანომეტრის ჩვენება, დანაყოფი ₁	მრღვევი ძალა, კგმ ₂	რღვევის ფართობი, სმ ²	მასშტაბური კოეფიციენტი	სიმტკიცის ზღვარი		მდგომარეობა გამოცდისას
						გაჭიმვაზე, კგმ/სმ ²	კუმშვაზე, მეგპა	
1	3	5	41	13	0,72	2,29	4,9	მშრალი
	4	5	35	10	0,68	2,38	5,1	
	5	3	21	10	0,68	1,40	3,0	წყალნაჯერი
	6	3	19	10	0,68	1,31	2,8	
2	3	5	41	11	0,69	2,57	5,5	მშრალი
	4	5	36	10	0,68	2,48	5,3	
	5	3	25	11	0,69	1,54	3,3	წყალნაჯერი
	6	2	18	8	0,64	1,45	3,1	
3	3	8	58	13	0,72	3,19	5,2	მშრალი
	4	8	63	14	0,74	3,31	5,4	
	5	4	31	11	0,69	1,96	3,2	წყალნაჯერი
	6	4	32	12	0,7	1,84	3,0	

შენიშვნა 4 : 1- ერთი დანაყოფი=7,6465 კგმ 2-დამრგვალებულია მთელ ნაწილამდე.

72.16.2

X 474401.03
Y 4621542.89

X 474428.57
Y 4621539.69

X 474404.64
Y 4621532.92

72.16.35.070

1
2
3

X 474404.86
Y 4621535.41

X 474404.42
Y 4621530.42


X 474399.18
Y 4621522.49

X 474404.80
Y 4621523.93

72.16.15.00



ჭაბურღილი №1



პირობითი ნიშნები




ნაყარი



თიხნარი



ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი



ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდ"	მუნიციპალიტეტი მცხეთა, სოფელი თიხნავლა საკაოლი 72.16.35.070			
შპს "არქიტექტო"				
დირექტორი	<i>ფ</i>	ზ. ნახვასიძე	ჭაბურღილი №1-ის ლითოლოგიური ქროლი	
ინჟინერი	<i>ფ</i>	ზ. ნახვასიძე	თბილისი	სტ. ფურ. ფ. სულ. მასშტაბი
შეასრულა		ზ. ნახვასიძე		მ 1:50

ჭაბურღილი №2

სიღრმის სივს	წი	ფენის სიღრმე		ფენის სიძველერე	ასოლუტური და ფენის ნიშნული	ლითოლოგია მ. 1:50	გრუნტის კატეგორია	R ₀ კმ/მმ	გრუნტის წყალი		ნიმუშის აღების ადგილი
		ღან	მღე						გამინენა	დგომა	
00	1	0.00			+725.00		tqIV				
0.50				1.20							
01	2	-1.20			+723.80		dqIV	2.8			
1.50				2.80							
02											
03											-3.30 ■
3.50											
04	3	-4.00			+721.00		p.3	3.00			
4.50				1.50							
05											
5.50											-5.60 ■
06	4	-5.50			+719.50		p.3	30.00			
6.50				4.50							
07											
7.50											
08											
8.50											
09											
9.50											
10		-10.00	-10.00		+715.00						

პირობითი ნიშნები




ნაყარი



თიხნარი




ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი



ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან უთერ ენდ ფაუერ"		მუნიციპალიტეტი მცხეთა, სოფელი თიხნავლა საკაოდი 72.16.35.070			
შპს "არქიტექტო"		ჭაბურღილი №2-ის ლითოლოგიური ჭრილი			
დირექტორი	<i>ფ</i>	ზ. ნახვასიძე			
ინჟინერი	<i>ფ</i>	ზ. ნახვასიძე			
შეასრულა		ზ. ნახვასიძე	თბილისი	სტე	ფურ
				ფ. სულ	მასშტაბი
					მ 1:50

ჭაბურღილი №3



პირობითი ნიშნები




ნაყარი



თიხნარი




ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი



ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი

დამკვეთი: შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ენერჯი"		მუნიციპალიტეტი მცხეთა, სოფელი თიხნავლა, საკაოდო 72.16.35.070			
შპს "არქიტექტო"		ჭაბურღილი №3-ის ლითოლოგიური ქროლი			
დირექტორი		ზ. ნახვასიძე			
ინჟინერი		ზ. ნახვასიძე			
შეასრულა		ზ. ნახვასიძე	თბილისი	სტ.	ფურ.
				ფ. სულ.	მასშტაბი
					მ 1:50




ქვევო ლპ	3.N.1	3.N.2	3.N.3
სიგრძე, მ	10.00	10.00	10.00
ჩანობი, მ	3.00	3.00	3.00
ახლ. ნიძნუელი, მ	725.00	725.00	725.00


პირობითი აღნიშვნები



ნაქარი



თიხნარი



ძლიერ გამოფიწული ძირთაჲდი ქანი



ნაკლებად გამოფიწული ძირთაჲდი ქანი

დასამუშაო: შპს "ჯორჯიან ენერჯისი"		შენიშვნები: შპს "ჯორჯიან ენერჯისი" საქართველო	
შპს "ჯორჯიან ენერჯისი"		საინჟინრო-გეოდეზიკური სამსახური	
დირექტორი	შ. ნახვიანი	თბილისი	სტად. ყვარა
ინჟინერი	შ. ნახვიანი		
შეასრულა	შ. ნახვიანი		